

## იმედის გოლები

თბილისი. ვ. ი. ლენინის სახელობის “დინამო” სტადიონი. 8 აპრილი.

“დინამო” (თბილისი) – “სპარტაკი” (მოსკოვი) 2:0 (1:0).

“დინამო”: გაბელია, ხიზანიშვილი, კანთელაძე, ხინჩგაშვილი (გ. მაჩაიძე), მუჯირი, ჩივაძე, მ. მაჩაიძე, ქორიძე, გუცაევი, ყიფიანი, შენგელია.

“სპარტაკი”: პროხოროვი, სამოხინი, კოკორევი, ხიდიატულინი, რომანცევი, ლოვჩევი, იარცევი, სოროკინი (შავლო), გავრილოვი, გლადილინი (პავლენკო), სიდოროვი.

მსაჯი: მ. სტუპარი (ივანო-ფრანკოვსკი).

გოლები გაიტანეს შენგელიამ (მე-7 წ.) და ყიფიანმა (58- წ.).

საფეხბურთო ჩემპიონატის პირველ მატჩს რეკომენდაციები არ სჭირდება. ის პირველია და ამით ყველაფერია ნათქვამი, თუმცა ფეხბურთს დანატრებული გულშემატკივრის სავსებით გასაგებ ინტერესს ერთიც ემატებოდა, თბილისელთა გუშინდელი მეტოქე ქვეყნის ერთ-ერთი სახელოვანი კოლექტივი იყო, კოლექტივი, რომელმაც შარშანწინდელ სეზონში კარგა გვარიანად წაიფორხილა და მერე მთელი წლის მანძილზე თავდაუზოგავი თამაში დასჭირდა იმისთვის, რომ თავისი სახელისა და ტრადიციების შესაფერ ადგილს დაბრუნებოდა.

თუმცა მოუსმინოთ თვით ევგენი ლოვჩევი: “როცა შარშანდელი სეზონის დამთავრების შემდეგ გუნდის წევრები ერთმანეთს ვშორდებოდით, მხოლოდ ერთი აზრი თუ სურვილი გვიტრიალებდა: რაც შეიძლება ჩქარა გამოვსულიყავით მინდორზე და დაგვემტკიცებინა ჩვენი მომავალი მეტოქეებისთვის, რომ არა მარტო პირველ ლიგაში შეგვიძლია გამარჯვებების მოპოვება. ასეთი იყო ჩვენი სურვილი და ეს სავსებით ბუნებრივად მეჩვენება – სპორტული შემატების, თითოეულ მატჩში გამარჯვების წყურვილის გარეშე, ალბათ საერთოდ უაზრობაა მინდორზე გამოსვლა. თუმცა, ისიც უნდა ვაღიარო, რომ ერთობ მაშინებს შემოდგომაზე “სპარტაკის” გარშემო ატეხილი აღტაცების ხმაური”.

მაშ ასე, “სპარტაკი” კვლავ “თავისიანებს” შორისაა და არც იმით დაკარგა რამე მატჩზე მოსულმა მაყურებელმა, რომ მისი პირველი შემმოწმებელი თბილისის “დინამო” გამოდგა.

პირველ გოლს რამდენადმე შესამჩნევი ცვლილებები არ მოჰყოლია – მეტოქეებმა ისევე გააგრძელეს თამაში, როგორც დაიწყეს: თბილისელებმა სამი ნახევარმცველითა და სამი თავდამსხმელით, სპარტაკელებმა სამი წმინდა ნახევარმცველითა და ფორვარდის განახევრებული ფუნქციებით მოქმედი იარცევით, გავრილოვითა და სიდოროვით. “დინამო” ცოტა არ იყოს მდორედ თამაშობს (ამაზე პირველივე წუთებში გატანილმა გოლმაც იმოქმედა), “სპარტაკი” მეტი მონდომებით იბრძვის. ყველაფერ ამას კი ის მოჰყვა, რომ მინდვრის შუაგულში მოსკოველებმა ერთგვარ უპირატესობას მიაღწიეს. მართალია, ამ ზონაში დროდადრო “დინამოს” ზოგიერთი ფორვარდიც გამოჩნდება ხოლმე, მაგრამ მხოლოდ დროდადრო.

პირველმა ტაიმმა უნებურად “ფახთაქორთან” და “კოლოსთან” ნათამაშევი მატჩები გაგვახსენა.

შეხვედრის მეორე ნახევრის წინ ერთი რამ ცხადი გახდა: საჭირო იყო თავდასხმასა და დანარჩენ ფეხბურთელებს შორის შექმნილი სიცარიელის ამოვსება. ან მეტი უნდა ემოძრავათ ფორვარდებს (იგულისხმება მინდვრის სიღრმიდან თამაში), ან ნახევარმცველთა რიცხვი ოთხამდე გაზრდილიყო, ანდა – შტურმი, ისეთი

შეტევა, რომლის დროსაც მთელი დატვირთვით ამუშავდებოდა პირველ ტაიმში თითქმის უმოქმედო თავდამსხმელთა სამეული.

“დინამომ” მესამე ვარიანტი აირჩია.

ამ თხუთმეტ წუთში ვნახეთ ის, რისთვისაც მართლაც ღირს სტადიონზე მოსვლა, ის, რაც უჩვეულო, ძნელადსათქმელი სიხარულით ავსებს გულშემატკივრის გულს. ეს იყო ნამდვილი იერიში. არა “დაწოლა” (ამ სიტყვას ხშირად უსადაგებენ ხოლმე გამძვინვარებულ გუნდს), არამედ სწორედ ფეხბურთის თამაში – ლამაზი, ლაღი.

სპარტაკელთა კარი ერთთავად ბეწვზე ჰკიდია. ერთხანს დავაპირე კიდევ საგოლე მომენტების, წუთების აღწერას. უთუოდ ფუჭი და სახიფათო იქნებოდა ეს მცდელობა. ვიცი, მკითხველი მაპატიებს ამ სისუსტეს – ძალზე მინდოდა მენახა, გოლი, და იმ წუთებში გულშემატკივრობა ვარჩიე.

შენგელიას უნაკლო გადაცემას ლოგიკური წერტილი დაუსვა ყიფიანმა.

დანარჩენისთვის ნულარ დავემდურებით დინამოელებს. მით უმეტეს, რომ შარშანდელი ჩემპიონატის ვერცხლის პრიზიორი ჯერ მხოლოდ იბრუნებს ჩვეულ ძალას. სავსებით აშკარაა – ფეხბურთელთა ფიზიკური კონდიციები ჯერ კიდევ შორს არის სასურველისგან.

”სპარტაკი”? რა შეიძლება ითქვას მასზე?

პირველი ლიგის შარშანდელი ჩემპიონი ნამდვილად ბრძოლისუნარიანი კოლექტივია. და მაინც, მხოლოდ ენთუზიაზმისა და თუნდაც კარგად დამუშავებული “კედლის” იმედით ძნელია უმაღლეს ლიგაში ფონს გასვლა.

თუმცა, კაცმა არ იცის – ჩემპიონატი ხომ ჯერ მხოლოდ ერთი დღისაა.

ი. ბერიაშვილი.

“ლელო”, 9 აპრილი, 1958 წ.